ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97241093**

თარიღი:**18/04/2024**

ლენტეხის მუნიციპალიტეტში, დაბა ლენტეხში ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სკვერისა და მოედნისთვის ბიძინა აფაქიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ''ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19-ივნისის N-19 დადგენილების შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

მუხლი1. დ.ლენტეხში, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებულ სკვერსა და მოედანს მიენიჭოს ბიძინა აფაქიძის სახელი (საფუძველი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა).

მუხლი2. განკარგულება რეაგირებისათვის გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი3. განკარგულება გადაეგზავნოს ინიციატივის წარმდგენს.

მუხლი4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი5. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი